

137/3N4223.

13



სახალხო ფურცელი

სუკათიანი წამაძის

გაფთის № 1016

წამაძის № 21

გვირა, 19 ოქტომბერი 1914 წ.

10/49



რუმინის ქვრივი დედოფალი ელისაბედი (ცნობილია როგორც მწერალი „კარმენ სილვას“ ფსევდონიმით).



ესლანდელი დედოფალი რუმინისა მარიამი.



კაპიტ. თავ. ივანე დავ. ციციშვილი (დაჭრილი).



კაპ. ვლადიმერ ლალიძე (დაჭრილი).



პორ. შალვა აბესაძე (დაჭრილი).



პოდ. დიმიტრი [ჩრდილელი (დაჭრილია და კვლავ ომში დაბრუნდა).



პორუჩ. ვალერიან ლოლაძე (დაჭრილი).



პრაპ. ი. პაპუაშვილი (დაჭრილი).



ჯარის კაცი ისიდორე ქინქლაძე (დაჭრილი).

ღამთემა ჩართული თეატრი



მარჯვენა მხრის ლოყები (ჩამონგრეულია).



თეატრის ფოიე.

სიკვდილის ნაღიმი

ღ ი ლ ა

მძლავრად ნატყორც შუბისრებით განიგმირა ღამე ბნელი,
 და ჩაინგრა ჯოჯოხეთში შავ წყვედიადის სავარძელი!
 მამაპაპათ ოქროს ეტლზე კვლავ დაბრძანდა ქვეყნის მსხნელი,
 მზე ჭაბუკი, მშვენიერი, სანატრელი მბრძანებელი.
 უხვის ხელით აბნევს სხივებს, შვებასა და სიხარულსა,
 მოალერსე თვალებითა დედამიწას უთბობს გულსა,
 მთა იზორებს ღამის ნაფიქრს, ნისლოვანსა მძიმე რულსა,
 აბიბინებს ველი თვის მკერდს ზურმუხტითა მოქარგულსა.
 წამოფრინდა სარეკლიდამ დილის სიო ცელქ ნარნარი,
 წამოვიდა გოგმანითა, მოიარა მთა და ბარი,
 ბალახს რაღაც წასჩურჩულა... გააცინა მუხა წყნარი,
 ქურდულადა ვარდს აკოცა... შიგ ტუჩებში... ონავარი!..
 ამოდრავდა, ახმაურდა გარეშემო ტყე და ველი;
 ფუტკართ ჯარმა გააჩალა მუშაობა საკვირველი;
 ჭიანჭველამ ვაჟკაცურად გადაუსვა უღვაშს ხელი,
 აიკიდა მძიმე ბარგი... ღამის მოსწყდეს დევგმირს წელი!
 მუქთა ხორა კალიამა მოღში ჩანგი ააჟღერა,
 მოფუსფუსე თვისებრ მწერნი ააცეკვა, აამღერა!
 გამხმარ ჩხირზე წამოსკუბდა თვით... ბელურა, გაიძვერა,
 მზეს შეხედა თვალთა ლუღვით, გაიბღინდა, გაიბერა!..
 ბუჩქში შაშვმა შემოსძახა, იადონმა დაიშტვინა,
 დააფრქვია ბგერათ მძივნი საყვარელის ვარდის წინა.
 კაკლის ხეზე ჯაფარამა ჩაახველა, ჩაიციანა...
 გიჟმაჟ თვალთა ბრიალითა, ჰე, კურდღელმა გაირბინა!
 აგერ ტყიდან სწრაფად, მარდად წამოვიდა ვით ფრინველი,
 ტანწერწეტა, ტანმოქნილი, მშვენიერი ნაზი შველი!
 გადაავლო არეს თვალი, მორცხვ-ჟუჟუნა თანაც მწველი;
 მოიღერა ქალწულივით მნოიანი კისერ-ყელი.
 მინდვრის მკერდზე სადაფივით მოლივლივებს იქ მდინარე.
 ლაყვარდს ცისას, მზეს ბრწყინვალეს ესარკება პირმცინარე;
 დილის სალამს ეუბნება მას ცხოველი და მცენარე,

იხედება შიგ კეკლუცად მოკაზმული არე-მარე.
 სურნელებას აკმევს ირგვლივ თვალწარმტაცი ყვავილნარი;
 გალობს, ლალობს ყოვლი არსი, ჟღერს ბუნების ოქროს ქნარი!
 ამ დიდებულს სიმფონიას იტკობს სული უჩინარი
 ვინცა შეჰქმნა მშვენიება და თვით მშვენიება ვინცა არი...
 დაილოცოს, შემოქმედო, მადლიანი შენი ხელი,
 და იკურთხოს, დიდო მზეო, შენი სახე და სახელი,
 სიყვარულით ზრდი სიცოცხლეს, მის დარაჯი ხარ დამცველი,
 მაგრამ, მითხარ, კაცთა გულში, ახ, რად დარჩა კუთხე ბნელი?!..

უ უ ა ღ ღ ე .

უცბად იჭექა რალამაც... იქუხა, და იგრილა!
 მიწა ათრთოლდა შიშისგან, მთა ბარმა დაიზრიალა...
 ჰაერში თითქოს ნატეხმა მეხისო გაისრიალა,
 შხუილ სისინით, ზუზუნით ვითა ვეება ბზრიალა!
 შემერთალ და ელდა ნაცემსა მინდვრის თავს გადაიარა,
 ქორივით ძირსა დაეშვა, სერის მკერდს მიღწიარა,
 გასკდა, აფეთქდა!.. მიდამო დაჰგლიჯა, დააიარა!
 რასაც ფერ ელო სიცოცხლის გააწყო, გაატილა!..
 ერთი... მეორე... მესამე... ათასობითა სჩნდებიან!
 ხშირად ჰაერში ერთმანეთს ეჯახებიან, სკდებიან,
 მრავალ ნატეხად ქცეულნი შავადა იწვიმებიან,
 ზოგნი მინდვრის გულს, ზოგნი მთას, ზოგნი მთის იქით სწვდებიან.
 იქცევენ-გრევენ ხმელეთი, სულდგმულთ დაცეათ თავზარი!
 კვამლში და მტვერში შთაინთქა ბუნების ტურფა ტაძარი.
 რა ღვთის რისხვაა გარშემო?... რა მოხდა ნეტა?... რა არი?!..
 რამ შეჰქმნა ჯოჯოხეთისა შმაგი ცეცხლმფრქვევი ხარხარი?!..
 მინდვრისა მარჯვნივ, ხევიდან, ვით აღზნებული ზღვა-ღვარი
 მოქშუის მძიმე, უღვევი, განუზომელი სპა-ჯარი...
 მარცხნიდან კიდევ, მთებიდან, ვით ზვავი უზარმაზარი
 მოპირდაპირეთ ლაშქარი მოექანება საზარი!..
 ოჰ, დიამალე სიცოცხლევ! მზევ, ისევ ბნელში განელდი!
 გზას ნუ უნათებ სიკვდილსა! თვალნი დახუჭე, დაბნელდი!
 ზარბაზნებმა კვლავ დააღეს საშინელი თვისი პირი,
 იგრიალეს, შეარყიეს დედა მიწის ფუძე-ძირი!
 მორახრახე ტყვიის მტყორცნელთ წამოვიდა სეტყვა ხშირი,

ოჰ, რა ხარბად დაეწაფა სისხლის ღვარსა შმაგი ჭირი!..
 ღმერთო, ღმერთო, ქვეყნისაგან რად იბრუნე, რათა პირი?!..
 ვარსკვლავეთში, სადაც მხოლოდ არწივები ჰთავადობდნენ,
 ჰაეროპლანთ, დირიჟაბლთა ხომალდები ნავარდობენ!
 დედა მიწა ევიწროვათ!.. ომისათვის ცას იპყრობენ,
 მტერს უშენენ ძირს ყუმბარებს, ერთით ასა ჰგლეჯენ, სპობენ!
 ვითა ძირში მოთიბული რაზმი რაზმზე გმინვით წვება.
 სად შრანელი საშინელი მეხვიათა ტყდება, სკდება
 ზოგსა ხელი, ზოგსა ფეხი, ზოგსა თავი უმალ სწყდება
 და ერთს წუთში ღვთის მზგავსება ათასობით კვდება, წყდება!..
 ახ, შესდევით! რასა სხადით?! ცაო, რისხვით არ იღვებები?
 ამისათვის სტკეპნე, ხალხო, კულტურის და წინსვლის გზები?!
 ამისათვის ღვარე ოფლი და შეასხი აზრს, სულს ფრთები?
 ამისათვის სტიქიონთა ბრძანებლად და მეფედ ხდები?!
 ახ, გვირგვინო ბუნებისაგ, შენში კიდევ ცხოვრობს მხეცი!
 ღრუბლებამდინ შენ ამალდი, და რა დაბლა აწ დაეცი!
 შენ მგზავსსა სპობ რაოდენსა, სიკვდილის ყმაღ გადიქეცი,
 და ერთს მკედარსა, ერთსა მაინც, სთქვი, სიცოცხლე როს მიეცი?!..
 ღვთის გულისთვის!.. გონს, გონს მოდი! გაახილეთ მალე თვალი!
 თქვენ ფეხ ქვეშა ითელება აზრი, რწმენა, სამართალი!
 თქვენეივ ნაშრომ ნაღვაწევი, ნატანჯი და ნატირალი...
 მთელს ქვეყანას, ხალხო, არ აქვს ერთ სიცოცხლის საღირალი!..
 არ სცხრებიან... წინ მიდიან!.. წინ მირბიან! მხეცდებიან!
 თხრილთ ავსებენ გვამებითა, მჭრელ მავთულებს ედებიან!
 ხიშტზე, შუბზე მტერს აგებენ და თვითონაც ეგებიან,

კბილთა ღრტენით, წყევლა კრულვითსთელვენ, ჰკლავენ და
 თქარა-თქურით, ჩხარა-ჩხურით, ცხენოსანთა ჯარი მოჰქრის!
 რაც გაღურჩა ყუმბარ-ტყვიას მოელვარე ხმალი მას სქრის!
 სისხლის გუბე ცოცხლებს აღრჩობს... ქარიშხალი სიკვდილის ჰქრის
 თვით ჯოჯოხეთს, თვითსატანას შიშს და ძრწოლას ეს ჟღერა ჰვერის!..
 კენესა, ოხვრა... ხვეწნა... ცრემლი... განა ენით გამოითქმის?
 „ვთი, დედავ!—ვაჟ, ცოლშვილო!“—რა ენაზე იქ არ ისმის?!
 რომელ უძღებ ვეშაპისგან ეს ამდენი სისხლი ისმის?!
 ღმერთო, ღმერთო სისხლი ესა ახ, სახელით შენით ისმის!..

ს ა ლ მ ო .

მზე ჩამავალი, მზე დამაშვრალი,
 თვის სხივთა წითელ ცრემლში დაცურავს...
 გულ დაწყვეტილი, გულ დამაზრალი,
 მთების შავ საბანს ჯავრით იხურავს...
 გათავდა ბრძოლა... მიყუჩდა არე...
 შესწყდნენ საგმირო დაკვენის ხმანი...
 სისხლის ზღვად იქცა მინდვრის მდინარე...
 ცასა სწვდებიან დახოცილთ მთანი!..
 და მათ მწვერვალზე, ხელს დაყრდნობილი,
 უხმოდ მცინარი, ნილაბ-ახილი,
 ღვას კმაყოფილი, გმირი ცნობილი,
 გამარჯვებული, ლალი... სიკვდილი!..

24 ენკენისთვე.

კ. მაყაშვილი.



იაპონელები ცინდაოსთან გერმანელების მეციხოვნე ჯარს ტყვი-ის მფრქვეველებით უშენენ.

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

(დასასრული *)

შუალამე იქნებოდა, როცა ტასია შეინძრა და წყალი მოითხოვა.

მეზობლებსაც აქ მოეყარათ თავი.

— მიდი ფეფე, შენ გეძახის ღმერთმა მოგვხედა, მიდი-მიდი მალე.— უბედურ დედამ ცრემლები მოიწმინდა და მიუჯდა ტასიას.

— რა იყო, შვილო? უთხარი რამე გაძალღებულ დედა-შენს.— ნალველ ჩალესილი გრძნობით უთხრა დედამ შვილს.

— წყალი, — ხელმეორედ სთქვა ტასიამ.

წყალი მიაწოდეს. ტასიამ ცოტა მოსვა და ისევ დახუჭა თვალები.

— სულ მოუკლავთ, სულ მოუკლავთ, არ შეუბრალებიათ გულმკვდრის შვილებს, — მოთქმით წამოიძახა ფეფემ, გაშორდა ავადმყოფს და ჩაჯდა ცივს ნაცარში.

ტასიას სიცხე მისცა და ბოდვა დააწყებინა. ახლა ფეფე მის წინ იჯდა, ჩასცქეროდა სახეში და ყურს უდებდა ავადმყოფის ტუჩების თითოეულ მოძრაობას. ტასია ბოდავდა და ხან და ხან გასაგონებლადაც წამოიძახებდა: — „არ შეიძლება; ჩემი სიცოცხლე აღარ შეიძლება!“

გათენდა. ტასიამ გამოიხედა და რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ იმავე წამს თავისი თავგადასავალი მოაგონდა, შერცხვა და საბანი გადაიფარა პირზე. თუმცა უკედ იყო, მაგრამ ახლა სიკვდილი უფრო სანატრელი იყო მისთვის, ვიდრე სიცოცხლე; ის თავის თავს უზომოდ დამცირებულად ჰგრძნობდა. „რატომ არ მოვკვდი მე უბედური, რატომ!“ — გაურბინა აზრმა, — ქალის გაროზგვა ვის გა-

უგონია! მარტო მე ვარ მაგალითი — მარტო მე!.. ვილას დავენახო?! სადღა გამოვჩნდე? ჩემი დავითის შესარცხვენად და თავმოსაჭრელად უნდა ვიცოცხოლო?! არა, ამ ლოგინიდან არ უნდა ავდგე, აქვე უნდა მოვიკლა თავი — აქვე... ჩემს დავითს ეს მოჰზოცავს სირცხვილს“ — მტკიცედ გადასწყვიტა, გულზე მოეშვა.

მეზობლებმა მშვილობა უსურვეს ავადმყოფს და წავიდნენ. სიკო გაეშურა სენაკში (ახლა — ძველ სენაკი), რომ დატყვევებული სიძისთვის საზარელი ამბავი ჩაეტანა. — „რომ არ მიჩვენონ! კაცი დაიღუპა და არ მიჩვენებენ, არ მათქმევინებენ რომ ამოწყვიტა ცოლშვილ ამოსაწყვეტმა კოწიამ?! რუსი სამართლიანიაო — ამბობენ — და ეს იქნება სამართალი, რო სიძე არ მიჩვენოს?.. ფიქრობდა და გზას იმოკლებდა.

სახლში მხოლოდ დედა და შვილი დარჩა.

— დედა, თუ გიყვარდე, ერთი დანა მათხოვე, — სიჩუმის შემდეგ, ლოგინიდან მიმართა ტასიამ დედას და დაიხედა ხელის ფხილებზე.

— დანა რად გინდა, შვილო? — შიშით ჰკითხა დედამ.

დედამ დანა მიაწოდა.

ტასიამ ერთხანს იწმიდა ფხილები, მაგრამ მალე ხელის კანკალი აუვარდა. — „ზოგი მერე!“ — სთქვა დედის გასაგონად და დანა ბალიშის ქვეშ ამოსდო.

— მწყურია, დედა!

ფეფემ კოკიდან ჯამში დაასხა წყალი და მიაწოდა.

— „რაა, დედა, რომ ძველ წყალს მასმევ, ახალი მეგეტანა, იქნება გული გეეხალისებინა!“

— ეხლავე, შვილო, ეხლავე მოვარბენინებ; ზოგი ეს, ზოგი ის, შვილო და წყალის მოტანი დამიგვიანდა. ფეფემ დასცალა კოკა, გაიღვა მხარზე და გასწია წყაროზე. თითქმის სირბილით მიდიოდა; გზაზე ფეფე ფიქრმა წაიღო:

*) იხ. სურათებიანი დამატება № 20

— „ჯერ დანა მოითხოვა და მერე წყალი, დანა ბალიშს ქვეშ ამოიღო, წყალი დამიწუნა! ისიც იცოდა, რომ ახალი წყალი მოტანილი არ მქონდა... რას ნიშნავს!“ გაახსენდა რომ წინაღობით ტასია თავის მოკვლავსა და ძილში ჰბოდავდა, ეჭვი აიღო, დანა რად უნდოდა? იქნება თავის მოსაკლავად მოითხოვა და მეც გამიტყუა წყაროზე!“ — წამოიძახა მწარედ ფეხებზე, შუა გზაზე მიაგდო კოკა და შურდულივით გამოეყენა წინისკენ.

ტასიამ მართლაც გაიტყუა ფეხე წყაროზე, წამოჯდომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო... მთელი ჯოჯოხეთი წარმოუდგა ტასიას თვალ წინ. თუმცა თავის მოკვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ერთ წამს ყოყმანი იწყებდა, მაგრამ თავდავიწყებით წამოიძახა.

— „არ შეიძლება, არ იქნება!.. ჩემი დავითისთვის ასე სჯობიან!.. შეიძლება ჩემო ვაჟაკო დავით, ჩემო ძვირფასო დავით; ღმერთმა მოჰკითხოს ჩვენი ცოდვა კოწიას ოჯახს... ტასიას ცრემლები მოაწვა თვალეზე!“

— „ფუ, ჩემს ქალობას! მინდა და ვერ გამიბედავს“, — წამოიძახა მტკიცედ, პერანგის კალთით ცრემლები მოიხოცა, დახუჭა თვალე და მოიქნია დანა.

უცებ თავზე წაადგა ქაჯივით გაწეწილი ფეხე.

— „მიშველეთ, მიშველეთ!“ — იკივლა გამწარებულმა დედამ და ეცა ხელში.

ტასია შეკრთა; თვალეები გაალო და დანაც გაავლო ხელიდან...

— დედა! თუ გიყვარდეს, არაფერი არ მითხრა; ვიცი რაც დამემართა: ეშმაკი ჩამომაჯდა მხარზე — ეშმაკი რე მაცდინა, მარა ანგელოზათ შენ მომეგონებე ვადამარჩინე. აწი არაფერი მიჭირს; აქამდე მძინა, დედა, მძინა; ძილში მოქნია რაც მიქნია, ეხლა გამოვიღვიძე და მიხარია, რომ ღმერთმა ეშმაკს არ დაანება ჩემი თავი... არაფერი მითხრა, თუ გიყვარდეს, არაფერი მითხრა, — სთხოვა ტასიამ და ტკივილებს აშლილი, მწუხარებით მიესვენა ლოგინზე.

XIV

სიკო აღრე ჩავიდა სენაკს. იქაც მწუხარებას მოელოდა: მოელოდა, რომ შესაძლებელი იყო არ ეჩვენებინათ მისთვის დავითი, მაგრამ პირველსავე დუქანში გაიგო, რომ დავითი სატუსალოში არ იჯდა და შეეძლო თავისუფლად ენახა.

სიკომ სულ რამდენიმე წამს შემოიარა ის ქობ-მახები, რომელნიც აქა-იქ არეულ-ჩარეულად იდგა, რაც წარმოადგენდა დაბა სენაკს, მაგრამ დავითი ვერსად იპოვა. ცოტა ხანს უკან დავითიც გამოჩნდა საფლიდან მომავალი.

სიკოს დაღვრემილ სახის დანახვაზე დავითს გული გაღუქანდა და მაშინვე მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— ცოტა იქით მივდგეთ აი იმ ხის ძირში. — სიკომ დაწვრილებით აუწერა, როგორ გადაუწვა მას კოწიამ სახლ-კარი, აუწყა, თუ რანაირად დატანჯა იმავე კოწიამ ტასია.

დავითს მრავალნაირად ეცვალა ფერი, მის სახეზე იხატებოდა ხან მრისხანება, ხან სიბრაღე, ხან შურისძიება.

— როგორაა ეხლა ტასია? — ნაღვლიანად ჰკითხა დავითმა სიკოს და თვალეები დააშტერა, თითქო ეუზნებო: — „ცოდვისა შეილო, რატომ სიციცხლე არ მოუსპე კოწიას, სანამ ის ტასიას აწამებდაო!“

— წუხელის ძალიან ავად იყო, ძალიან შეგვაშინა, მაგრამ ამ დილას მოგვხედა ღმერთმა და კარგად დაგტოვე.

ეხლავე დაბრუნდი და ავადმყოფს მიჰხედე.

— წავიდე კი არა... ნაჩალიკთან არ მივიდეთ?!.. არ უთხრათ, რომ...

— ნაჩალიკი მერეც გაიგებს კოწიას ამბავს. ეხლა შინ გეჩქარე; ტასია არ შემწიწუნოთ, — მტკიცედ უთხრა დავითმა და სიკომაც სიტყვის შეუბრუნებლად მოიმარჯვა ხელში ჯოხი და გაბრუნდა.

— მოიცა! — მიაძახა ისევ დავითმა.

სიკო მოტრიალდა.

— იცი რა! დედა ჩემიც წაიყვანე შენსას და უთხარი, რომ ის და ტასია მოემზადონ წასასვლელად. მეტს ნურაფერს ეტყვი, სხვას თვითონ მიხვდება. ამაღამ კაცს გამოვგზავნი შენსას და იმას გაატანე ორივე; იმ კაცს ეცოდინება სად, ან ვისთან მიიყვანოს ისინი; უთხარი, რომ ხვალ ღამეც მათთან ვიქნები... იცოდეს, დღეს და ხვალ თვით ჯოჯოხეთის ეშმაკიც არ უნდა გაიგოს ეს შენგან.

— რას აპირებ, დავით?

— მერე, თუ ნაჩალიკმა რამე გკითხოს, ყველაფერი მე დამაბრალებ, მაყვედრე და ჩამასმინე.

— მერე ავადმყოფი შვილი სადღა გადავავლო ამაღამ?

— ამას ჯერ ნუ იკითხავ, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, შენც იქ წაგიყვან, სადაც მე ვიქნები. წადი, ნუ იგვიანებ.

მწარე და გულის მღრღნელი აზრებით მოკლული სიკო გაუდგა გზას. მას გულს უკლავდა წარსული, მაგრამ უფრო აფიქრებდა მომავალი, საიდანაც სახეიროს არას მოელოდა, თუმც არ იცოდა კი რა სახით გამოეცხადებოდა მას ეს, მომავალი.

უფრო მეტი საგონებელით დამძიმებული და აღელვებული დავითი კარგა ხანს დარჩა იმავე ადგილზე, სადაც ასაშფოთებელი ამბავი გაიგო.

— „კარგად დაგიწყვია, კოწია, საქმე — კარგად!.. ჯერ ნაჩალიკთან დამაბეზღე, რომ დავეჭვირეთ და მერე ჩემს კისერზე მალაყებს გადასულიყავ? თქნება ციხეში გგონივარ და იმისთვის აიშვი თავი!.. ბარაქალა შენს თავალობას!.. დახეთ, იმდენათ გაბოროტებულა, იმდენად დაჰკარგვია სირცხვილი, იმდენათ დამცირებულა, რომ ქალი

გაუროზგია!.. შხამად შემერგოს დედის ძუძუ თუ ეს შეგარჩინო, კოწია! — მტკიცედ სთქვა დავითმა და მძიმედ ჩაიკრა გულში მუშტი...

— ესეც მელიდა, ჩემო ტასია? — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, სათუთის გრძობით შეაკითხა ის შორიდან შორს მყოფს საყვარელს არსებას. — ფიქრი ნუ გაქ, შენ მაინც კი ხარ; ეხლა უკეთესი ხარ, ბოროტის ხელით, სიმართლისათვის დასჯილი, მინამ წინაღ... შენც გერგო, დედა ჩემო, ამ სიბერეში მწარე დღეები!.. მაგრამ, ვიცი, აპატივებ შენს გაზრდილ შვილს ყველაფერს. შენ თითონ მოწე ხარ იმისი, რომ მე ავასრულე შენი დარიგება. რაც შენ გინდოდა ის მახდა, ნატვრა შეგვისრულდა: ბატონებს ჩაუტყდათ ხიდი, მოსწყდათ წელი, მათი დამაიმედებელი დედოფალი შორს არის მათგან... თავად-აზნაურობამ იგრძნო აღვირი ის არ არიან, რაც იყვნენ და ის არ იქნებიან, რაც არიან... ერთი კოწია ყოფილა ძველს ჭკუზე — კოწია! მაგრამ ღმერთმა მოწყალე!..“

ასეთს აზრებით გართული დავითი უკვალოდ გაჰქრანდა. მაგრამ თავის დროზე, როცა უნდა გამოცხადებოდა ზედამხედველს, ისევ სენაკში იყო. მოიხდა ეს ვალიც და როცა კარგად შელამდა, საჩქაროდ გაექანა თავის მეგობარს, რომელსაც ებარა მისი ცხენი და იარაღი. შეიკავმა, მოახტა ცხენს და გრიგალივით გაჰქუსლა იქით, საითაც მტერი ეგულებოდა.

„ბედს ვერსად წაუვა კაციო, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა, — ჰფიქრობდა გზაზე დავითი, — რასაც ვემალეობდი, რასაც ვზრახავდი და ვკლავდი, ის უნდა ჩავიდინო: უნდა დავეცე მძინარ კაცს!.. არის ამაში რამე კაცური? მაგრამ რა ვქნა? ალბად შუბლზე ასე მეწერა! აბა სად უნდა ვეძიო ის დრო, რომ კოწიას პირის-პირ შევხვდე და ანგარიში გაუსწორო! სადა მაქ ამისთვის მოცალეა? ეს ერთი ღამე დამრჩენია და რასაც ამაღამ ვერ მოვასწრებ, იმას სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო... ამაღამ, სწორედ ამაღამ, ან შენ, ან მე, კოწია!.. მერე მეც უნდა მოვშორდე მამიჩემისეულ კერას, უნდა გავიქცე იქ, სადაც რუსს ჯერ ფეხი არ შეუღვამს: იქ უნდა შევიხვენი, იქ უნდა მოვიდგა სული, მაგრამ არც შენ უნდა დარჩე შენს სამშობლოში, კოწია... რომ დარჩე, ვინ იცის, რანდენ ჩემისთანას აატირებს შენი ბოროტი და გაუმაძლარი გული!.. შენგან ხსნაა საჭირო — ხსნა... ამაღამ, ამაღამ უნდა გაუთენდეს ალღვომა შენს ყმებს და მთელ იმ კუთხეს, სადაც შენ გველივით სისინებ! — ჰფიქრობდა მხედარი და ცხენს მიაქროლებდა.

შუალამე მოტანებული იყო, როცა დავითი კოწიას სასახლეს მიადგა. საჩქაროდ ჩამოხტა ცხენიდან, მოუშვა მოსართავეები, შეატოკა უნაგირი და ისევ მოუჭირა მოსართავი, დაუხიდა ყურები, ამოუწმინდა თვალეები ოფლით გაღვარულ მეგობარს, რომელსაც ორთქლი ბოლივით ასლიდა და დაბაა მოხერხებულ ადგილს. მოიხსნა თოფი, გამოუცვალა ფალია, მოიგდო ისევ ზურგზე და ფეხაკრებით გაემართა სამზარეულოსკენ, გაიარა-გამოიარა და რა დარწმუნდა, რომ თითქმის ძაღლებსაც კი ტკბილად ეძინათ, მისცა ცეცხლი ისლის სახურავს. იქიდან გადავიდა ერთს დიდ სახლზე, რომელსაც „სასტუმროს“ ეძახდნენ და შემდეგ სასახლეზე, მას შემდეგ კი სასახლის წინ ამოეფარა ხეს და მოიმარჯვა თოფი. ცოტა კიდევ და სასახლიდან ავარდნილმა ალმა წითლად შეღება ბნელით მოკლული ცა; გაძლიერებულ ცეცხლის ტკლაცუნმა ისე გვიან გამოაღვიძა ღრმა ძილში მყოფნი, რომ ცეცხლის ჩაქრობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

— „დავილუბე, დავიწვი!“ — ღრიალით განოვარდა კოწია გარედ, იმავე წამს იქეჭა თოფმაც.

— „ახ!“ — ძლივს წამოიძახა ერთი და ვაგორდა თავადი.

— „მეორე, მგონი, არ დაგჭირდეს“, — მიაძახა დავითმა, ცხენთან მიიბრინა მოახტა და გაჰქროლა.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა დავითი სენაკს ჩავიდა და კარი დაუკაკუნა მის ზედამხედველ რუსს.

— ვინ ხარ? — შიგნიდან დაიყვირა რუსმა.

— მე ვარ, გიდელია! გთხოვ კარი გამიღო, საქმე მაქ, — დაუძახა გარედან დავითმა.

— რა საქმე აგტეხია ამ შუალამეს — უგემურად სთქვა რუსმა და წამოდგა.

— არც ისე შუალამეა — თენდება. მეტად საჭირო საქმე მაქ. რუსმა კარი გააღო და მიიწვია დავითი.

— დაჯე, — უთხრა მან.

— არა, დასაჯდომად არ მცალიან. ციკ რა გითხრა?.. მოახსენე ბატონ ნაჩალიკს, რომ მე სიტყვა გამიტყდა მასთან; შეგვიბრდი, მაგრამ გარემოება ისე მოეწყო, რომ ველარ გამოვცხადდები შენთან დილა-საღამოს. თავადი კოწია გერიამ სახლ-კარი გადამიწვა და ცოლი გამიროზგა; სამაგიეროდ, გადუწვი ყველაფერი და თვით კოწიაც მოვკალი. მშვიდობით, ნუ მომიგონებთ ავად, — დაუმატა დავითმა და გავარდა კარში.

სანამ რუსი გონს მოვიდოდა, დავითი უკვე შორს იყო.

კირილე წუთისოფლელი.

